ხელშეკრულება № 11/15

ქ. თბილისი 26 იანვარი 2015 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ ნატრიაშვილის სახით და მეორე მხრივ **შპს „სი-ტი პარკ"-ი** (შემდგომში - „მიმწოდებელი") მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია დანართ № 1-ში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ერთწლიანი პარკირების (CPV - 98351100 ავტოსადგომების მომსახურებები) საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება.

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

- პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 1 (ერთი) ერთეულ ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური შეადგენს 50,00 (ორმოცდაათი) ლარს.
- ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 50,00 (ორმოცდაათი ლარი) ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება „მიმწოდებელთან" სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით,

უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2. ანგარიშსწორება განორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს საქმის მწარმოებელი იორგი ჩაგელიშვილი.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი" მისამართი: ქ. თბილისი, მინდელის ქ. N10 ტელეფონი/ფაქსი: 2 321 165 / 2 323 956 საიდენტიფიკაციო ნომერი: 204862256 ბანკის დასახელება: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ანგარიში: 200122900 დირექტორი თ. ნატრიაშვილი	შპს „სი-ტი პარკ" ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. № 47 საიდენტიფიკაციო კოდი: 204543770 ტელ: 2555123 ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ ბანკის კოდი: REPLGE22 ანგარიშის № GE90 BG00 0001 0608 6189 45 გენერალური მენეჯერი ბ. ჰალავ

სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ასლი

ინსტიტუტის დირექტორი თ. ნატრიაშვილი თამაზ ნატრიაშვილი